პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ხუთშაბათი 11 მაისი № 109 (17454) ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის აღამაღლებები

შრომის ვახტზე

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივს შარშანდელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ამ მოვლენამ მკერავთა დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია. დღეს საწარმოში არ არის არც ერთი ბრიგადის, უბნის და საამქროს კოლექტივი, რომელიც არ უსწრებდეს დროს.

ათობით მუშამ უკვე შეასრულა ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს. მიმდინარე წლის 4 თვეში ფაბრიკის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 210 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

კოლექტივის წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვს № 6 საამქროს ახალგაზრდა კომკავშირელ მკერავს შორენა აბრამიშვილს, რომელიც ჩაბმულია საფაბრიკო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახლა ივლისის ანგარიშში შრომობს.

სურათზე: შ. აბრამიშვილი.

გ. გოგოხიას ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

უკეთ დავიცვათ ბუნება, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მისი რესურსები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის გაძლიერების დამატებითი ღონისძიებებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ბუნების დაცვის სამსახურმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვა მთელი რიგი აქტუალური პრობლემების დამუშავებაში, საშეცნიერო და სახროვტო ორგანიზაციებთან კავშირის განტკიცებაში, ბუნების დაცვასთან დაკავშირებული პრობაგანდისტულ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგს სრულყოფაში, დიდი საერთაშორისო, სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური ფორუმების ორგანიზაციასა და სხვა საკითხების გადაწყვეტაში.

რესპუბლიკაში წლითიწლობით ფრდება ბუნების დაცვის ღონისძიებებისათვის განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებანი. შექმნილია საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, მიღებულია მიწის, წყლის წიგნები, ტყის კოდექსები.

ამასთანავე მთელი რიგი რესპუბლიკური სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებანი, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებებს ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების შესახებ, რის შედეგადაც ბუნების დაცვის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია. მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობას, მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, საავტომობილო გზათა სამინისტრო

უკეთ დავიცვათ ბუნება, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მისი რესურსები

(დასასრული)

კომისიებში შესაბამისი თანამდებობანი იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და შესაბამისი ქალაქების სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს წინადადება მიეცათ 1979-1980 წლებში საკვეთუწყებო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში განახორციელონ მავნე ნივთიერებებითა და საწარმოო ნარჩენების გამონაფრქვევით გარემოს გაჭუჭყიანების წყაროების ინვენტარიზაცია და მასალები გაუგზავნონ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს (წყლის რესურსების შესახებ), საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს (საჰაერო აუზის შესახებ) და საქართველოს სსრ სახმომარაგებას (მყარი საწარმოო ნარჩენების შესახებ).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიეცა დავალება რესპუბლიკის გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს რესპუბლიკის მიწის სავარგულების მდგომარეობისადმი თვალყურის დევნება იმ მიზნით, რომ პერიოდულად გაანალოს რეკომენდაციები, რომლებიც ეხება მიწების დაცვას წყალდიდობის, ღვარცოფის, ზვავმეწყრის მოვლენებისა და ნიადაგის ეროზიისაგან.

საქართველოს სსრ სახმშენს დაეკისრა შემკვეთის ფუნქციები, რათა შეიმუშაოს ბუნების დაცვის ტერიტორიული კომპლექსური სქემები რესპუბლიკის მასშტაბით ცალკეული ბუნებრივი კომპლექსების, აგრეთვე იმ დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მიხედვით, რომელთა გარემოს აჭუჭყიანებენ სხვადასხვა სამინისტროს და უწყების საწარმოები.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას წინადადება მიეცათ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად 1979 წლის დამლევამდე შეისწავლონ ბუნების დაცვის თითოეული სფეროში ბუნებათმცოდნეობის პროფილების სპეციალიზებულ მეთაურ სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციათა განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებას მიეცა დავალება განახორციელოს, 1980 წლიდან დაწყებული, საწმენდ საკანალიზაციო ნაგებობათა დაკომპლექტება მოწყობილობით, ხელსაწყოებით, კაბელის ნაწარმითა და სხვა იმ მასალებით, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო ბუნების დაცვისათვის.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის თაობაზე, რომ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას საწმენდ მოწყობილობათა და ნაგებობათა საექსპლოატაციო და სარემონტო რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს და საქმთავარწყალმშენს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღეკურვონ ყველა ჰიდროტექნიკური და სამელიორაციო ნაგებობა თევზსატარი და თევზდამცავი მოწყობილობით.

ორგანიზაციებს, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებას ეწევიან, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკურ გაერთიანებას დაევალათ 1979-1980 წლებში შეიფასონ მთელი გადასატუმბი მადნიანი წყლები და დაადგინონ ამ წყლებში სასარგებლო თუ მავნე მინარევების შემცველობა, შეიმუშაონ მათი გაწმენდის სქემები და აღნიშნული წყლებიდან სასარგებლო ნივთიერებათა ამოღების ღონისძიებანი; ამავე დროს შეისწავლონ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავების თანამდევი მაპროფილებელი სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანების გამოყენების შესაძლებლობა და დონე, რომლებიც წარმოების ნარჩენებს მიჰყავება და იკარგება.

გაერთიანებანი, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავებას ეწევიან, მოვალენი არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ დამუშავებული ქანების ნაყარის მავნე გავლენა გარემოზე, განახორციელონ ღონისძიებანი ძველი გამონამუშევრების გაკეთილშობილებისა და შემდგომი რეკულტივაციისათვის.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაეკალათ გადაწყვიტონ ის საკითხი, რომ დაახპეციალონ ცალკეული სასწავლებლები საშუალო რგოლის სანტექნიკოს სპეციალისტთა მოსამამზადებლად.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უნდა შეუწყონ ხელი საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას ბუნების დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში, ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის ცოდნის პროპაგანდაში.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ მეოერთმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნას „ბუნების დაცვის“ პავილიონი და თბილისში შეიქმნას საქართველოს ბუნების მუზეუმი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტს წინადადება მიეცა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ამაღლდეს ბუნების დაცვის დარგში კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ბუნების დაცვის გაძლიერებას და მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სსრ ბუნების დაცვასთან და რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფასთან.

(საქინფორმი).

ხალხის მარადიული ხსოვნა

დილიდანვე კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისაკაცის საფლავთან უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი. ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები, ბავშვები, მეომრები და დედაქალაქის სტუმრები მოდიან აქ, რათა პატივი სცეს ომში შობოლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის თავდადებული საბჭოთა ჯარისაკაცის ხსოვნას.

საბჭოთა მეომრების ხსოვნის პატივსაცემად აქ მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები საბჭოთა კავშირის მარშლები ნ. ვ. ოგარკოვი და ვ. გ. კულიკოვი, საბჭოთა არმიისა და საზღვრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი [illegible] სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები, გენერლები და ადმირალები.

[illegible] ფაშისტურ ფაშისტებზე [illegible] შელოდია. უცნობი ჯარისაკაცის საფლავს ცოცხალი ყვავილების გვირგვინით ამკობენ, ალისფერ ლენტზე წარწერილია: „უცნობ ჯარისაკაცს — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებისაგან“. მხედართმთავრებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმ გმირთა ნათელ ხსოვნას, რომლებმაც თავი გაწირეს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია. უცნობი ჯარისაკაცის საფლავთან მიიბიჯებენ მოსკოვის გარნიზონის ჯარები, რათა მხედრული პატივი მიაგონ დაღუპულ გმირებს.

(საკადესი).

სანიმუშოდ შევხვდეთ საკვების დამზადების სეზონისათვის მზადყოფნის დათვალიერებას

19-20 მაისს რესპუბლიკაში ეწყობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების, სახსოფლტექნიკის განყოფილებებისა და გაერთიანებების საკვების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების სეზონისათვის მზადყოფნის დათვალიერება.

დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარეგიონო კომისიის წევრები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა რაიონში წავლენ, რათა ადგილებზე დაეხმარონ მუშაკებს დათვალიერების უკეთ მომზადებაში, ზოგიერთი მომწიფებული საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტაში. ჯგუფების შემადგენლობაში არიან მეცხოველეობის სპეციალისტები, მექანიზატორები, მეცნიერები.

რას უნდა მიაპყრონ ყურადღება დათვალიერების მონაწილეებმა? საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვაზე უპასუხა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. იცადაშვილმა.

— დათვალიერების კომისიებმა, თქვა მან, — უწინარეს ყოვლისა უნდა შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება საკვები კულტურების თესვის გეგმა. ხოლო იქ, სადაც იგი დამთავრებულია, შეამოწმონ აღმონაცენის მდგომარეობა. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანას, ამიტომ ეს საკითხიც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. დათვალიერების მონაწილენი უნდა დაინტერესდნენ, თუ რა კეთდება რაიონში ირიგაციისა და სხვა მრავალწლოვანი ბალახების ნათესების გაფართოებისათვის, სამარცვლე პარკოსანი კულტურების წარმოების გადიდებისათვის, შეამოწმონ მწვანე საკვებად გათვალისწინებული ჭვავისა და ქერის საშემოდგომო ნათესებისა და იმ ღონისძიებათა მდგომარეობა, რომლებიც დასახულია ამ ნათესების გაფართოებისათვის, განსაკუთრებით ხანჯოლასა და მოზამთრე ბარდასთან ნარევი ნათესების მდგომარეობა, აგრეთვე ის, თუ როგორ გამოიყურება ზვრიის შუალედური ნათესები.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყურადღება მიექცეს ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვას. სენაჟის ჩადების, თივის დამზადების დროს იმიტომ, რომ ამაზე დამოკიდებულია მათი ხარისხი. ორჯერ და მეტად შეიძლება შეამციროს საკვების ყუთათანობა იმან, თუ მომზადებული არ იქნება სასენაჟე და სასილოსე ნაგებობანი, თივისა და ძირხვენების სათავსები, უხეშად დაირღვევა მათი დამზადების წესები. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვების ასაღები და საკვებგადასამუშავებელი ტექნიკის, თვითმავალი და მისაბმელი სატრანსპორტო საშუალებების გამართულობას.

ყურადღება უნდა დაეთმოს, თუ რა კეთდება მეურნეობებში პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის საკვების წარმოებაში — თივის დამზადებას აქტიური ვენტილაციით, ნამჯის ფერმენტაციასა და ჰიდროლიზს და სხვ.

დათვალიერება გამოავლენს აგრეთვე იმას, თუ როგორ მუშაობენ მეურნეობები ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის, როგორია მრავალწლოვანი სარწყავი კულტურული საძოვრების პროდუქტიულობა, როგორ მიმდინარეობს მზადება სანაწყვარალო და შუალედური კულტურების თესვისათვის, რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენები კვებისათვის. როგორც ჩანს, დათვალიერების მონაწილენი დაინტერესდებიან, შეუდგნენ თუ არა მუშაობას საკვების დამზადების რაიონული შტაბები, როგორ გეგმავენ მოსახლეობის მასობრივი შაბათობების მოწყობას.

— ეჭვი არ არის, თქვა დასასრულ ამბ. ეცადაშვილმა, რომ 19-20 მაისს დათვალიერება დიდად შეუწყობს ხელს მაღალ ორგანიზაციულ დონეზე საკვების წარმოებისა და დამზადების სეზონის ჩატარებას, შეიტანს წვლილს საერთო-სახალხო ბრძოლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცხოველეობის აღმავლობისათვის. (საქინფორმი).

უზრუნველყოთ პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი მეცნიერული დონე!

(დასასრული)

რულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას — ყოველი მსმენელის, ყოველი საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა.

ყველას და თითოეულის საზრუნავია ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისათვის, მიხდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, ეკონომიკისა და ყაირათიანობისათვის, მფლანგველობის, უწყვეტრობისა და კეთილრობის წინააღმდეგ, ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა სამეურნეო საქმიანობის აღმზრდელობითი შედეგებისათვის.

განვავითაროთ პროპაგანდისა და აგიტაციის შემტევი ხასიათი. ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი ყოველივე ახალსა და მოწინავეს, გადაჭრით ვიბრძოლოთ იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინიციატივიანი, შემოქმედებითი მონაწილეობა ადამიანის იდეური, მოქალაქეობრივი მომწიფების მაჩვენებელია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკური კურსი, მსოფლიო სოციალიზმის, მთელი პროგრესული ძალების პოზიციების განმტკიცება. განვამტკიცოთ სოლიდარობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებთან, საერთაშორისო მუშათა კლასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

გადაჭრით ვამხილოთ „ცივი ომის“, საერთაშორისო დაძაბულობის გაგრძელების, ბრალეულობის, ბოროტებისადმი თვალსაზრისი, ომის, ძალადობის, ბოროტებისადმი ინდიფერენტული, ბოროტებისადმი ტოლერანტული, ბოროტებისადმი ბოროტებით, ბოროტებისადმი ბოროტებით, ბოროტებისადმი ბოროტებით

სტუდენტები მშობლიურ ქალაქში

სწავლა და შრომა

ხვალ, 12 მაისს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრება.

შეიკრიბებიან საქართველოს სტუდენტთა მრავალათასიანი არმიის მოწინავე წარმომადგენლები და რესპუბლიკის პარტიასა და მთავრობას, კომკავშირს, ხალხს უპატაკებენ, რომ მზად არიან შეასრულონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის დავალებანი, გააცნობენ მათ თავიანთ სახალხო საქმეებს.

ჩვენი სტუდენტობის მიზანია ჰქონდეს აქტიური პოლიტიკური მებრძოლის თვისებები, სრულყოფილად დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, მიღებული ცოდნა რწმენად აქციოს და გამომიშვაოს თანამედროვეობის მოვლენების პარტიული პოზიციებიდან შეფასების უნარი.

ყოველწლიურად იზრდება სტუდენტთა შრომითი აქტიურობა. სამშენებლო რაზმებში ყოფნა ეხმარება მათ შეიძინონ კოლექტიური შრომის გამოცდილება, გამომიშვაონ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

რესპუბლიკის სტუდენტობის ფორუმის შესახვედრად სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, სხვადასხვა რაიონში ეწყობა შეხვედრები იმ სტუდენტებთან, რომლებიც აღნიშნული რაიონებიდან რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. სტუდენტი ახალგაზრდები ესტუმრნენ მშობლიურ ქალაქებსა და რაიონებს, შეხვდნენ პარტიულ, საბჭოთა მუშაკებს, წარმოების მოწინავეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მოსწავლეებს.

ქვემოთ ვბეჭდავთ რეპორტაჟს ერთ-ერთი ასეთი სტუდენტური ღონისძიების შესახებ.

ზ უგდიდი. (საკ. კორ.). საზეიმოდ მორთულ რენიგზის სადგურს ლამაზი ტრანსპარანტი ამშვენებს, რომელიც ახალგაზრდობას მოიწვევდეს, მიბაძონ მამებს, ბეჯითად იშრომონ, წარჩინებით ისწავლონ. 8 მაისს აქ ელოდნენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით სტუდენტთა აქტივის კრებისათვის მზადებას ღღიებში მშობლიურ ზუგდიდში ჩავიდნენ, რათა ანგარიში ჩაბარებინათ მშრომელებისათვის, თუ როგორ სწავლობენ და იღვწიან მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად, აგრეთვე გასცნობოდნენ თანატოლების საქმიანობას, ქალაქისა და რაიონის მშრომელთა გარჯას მეთე ხუთწლედის გეგმების დროულად და ხარისხოვნად შესრულებისათვის.

ქალაქისა და რაიონის კომკავშირულმა აქტივმა, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა სტუდენტებს მოუწყეს საუბარი მრგვალ მაგიდასთან. აქვე კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მოწვევით საუბარში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მყოფმა ცნობილმა რუსმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ. მან წარმატებებს უსურვა სტუდენტებს, ზუგდიდელ ქალაშვილებსა და ჰაპუკებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სტუდენტები მიიღეს და ესაუბრნენ პარტიის ზუგდიდის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა კ. ჯანჯღავამ და ი. თოდუამ, რომლებმაც მათ გააცნეს ქალაქისა და რაიონის მშრომელთა მიღწევები მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ქალაქისა და რაიონის ახალშენებლობები, პერსპექტივები.

მიღებაზე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა რუსულან კონჯარიამ, ლია ქარდავამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მანანა კაკულიამ და ბადრი თორდიამ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ნათელა აფრასიძემ თავიანთ სწავლასა და სტუდენტურ ცხოვრებაზე ისაუბრეს და მადლობა გადაიხადეს გულთბილი მიღებისათვის.

შემდეგ სტუდენტები კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში შეხვდნენ კომკავშირულ აქტივს. კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები ნ. მალაშხია და რ. ჭითანავა სტუდენტებს ესაუბრნენ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტში შეხვედრაზე საინტერესო წინადადება მიიღეს იმის შესახებ, რომ თბილისში შეიქმნას ზუგდიდელი სტუდენტების საქმიანობის კოორდინაციის შტაბი, რომელიც სისტემატურ კონტაქტს დამყარებს კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან.

სტუდენტებმა დაათვალიერეს ფაიფურის ქარხანა და ენგურის ელექტროსადგური. ამ ქალაქის გზა, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში სერ ჩერჩილ ბენ კერტის კიბლამ. ელჩმა თქვა, რომ ინგლისსაბჭოთა კავშირს კარგი ურთიერთობა აქვთ.

— ჩვენი ქვეყნების იდეები საზოგადოების განვითარების შესახებ განსხვავდება, მაგრამ მთავარი ყურადღება ამას არ უნდა დაეუთმოთ, — თქვა ინგლისელმა დიპლომატმა. — ჩვენ საერთო პოზიციები გვაქვს. ორივე ჩვენს ქვეყანას დიდი ზიანი მოუტანა მეორე მსოფლიო ომმა. ჩვენ საერთო მიზანი გვაკავშირებს — განვამტკიცოთ ევროპის მშვიდობა და უშიშროება.

ერევანში ყოფნის შემდეგ დიდბრიტანელმა სტუმარმა გაგაგრძო ჩვენს რესპუბლიკაში მოგზაურობა. მან, კერძოდ, დაათვალიერა სამეცნიერო — საწარმოო გაერთიანება „ელვას“ გამომთვლელი მანქანების ქარხანა, მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საპროექტო — საკონსტრუქტორო ინსტიტუტი, თბილისის მუზეუმები, ეწვია სამხატვრო აკადემიას, დაესწრო ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბავშვთა თვითმოქმედების კოლექტივის კონცერტს.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან გ. გაბუნიასთან საუბრის დროს ელჩმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღო ქალაქის ეკონომიკის, კულტურისა და ისტორიის, მისი მომავალი განვითარების, საქალაქო საბჭოს სტრუქტურის შესახებ.

ელჩს თან მიაქვს ძვირფასი საჩუქარი — ინგლისურ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ ვახშამი გაუმართა დიდი ბრიტანეთის ელჩს.

11 მაისს ელჩი გაემგზავრა ქუთაისში, სადაც გაეცნობა რესპუბლიკის მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრის ცხოვრებას. (საქინფორმი).

დიდი ბრიტანეთის ელჩი თბილისში

თბილისი მშვენიერია, მისი ხალხი კი გულთბილი და სტუმართმოყვარე. აქაური მასპინძლობა ისეთივე თბილი იყო, როგორც ამ ქალაქის გზა, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში სერ ჩერჩერტ ბენ კერტის კიბლამ.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგრადის ჯვარედინი

გმირის ხსოვნის პატივსაცემად

რომი, 9 მაისი. (საკდესის კორ.). იტალიელები წმიდად ინახავენ იმ საბჭოთა მებრძოლების ხსოვნას, რომლებიც იტალიის მიწა-წყალზე დაეცნენ, როცა ქვეყნის განთავისუფლებისათვის ებრძოდნენ ფაშისტებსა და ნაცისტ ოკუპანტებს. რავენის პროვინციის ქალაქ კონსელიჩში საბჭოთა ჯარისკაცის პრისტანსკოვის საფლავთან ყოველთვის დგას ახალი ყვავილებით სავსე ლარნაკები. მისი სახელი ეწოდა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას. იტალიელი ხალხის მადლიერების მკაფიო გამოხატულებაა მაღალი ჯილდო — მხედრული წარჩინების ვერცხლის მედალი, რომლითაც დაჯილდოვდა 35 წლის შემდეგ დაჯილდოდგა გიორგი ილიას ძე პრისტანსკოვი.

პრისტანსკოვს ასეთი ჯილდო მიკუთვნებული აქვს იტალიის მიწაწყალზე ფაშისტების წინააღმდეგ მამაცობის გამოჩენისათვის.

ლ. სმირნოვი.

ჰეკინის ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ

ჰანოი, 9 მაისი. (საკდესი). აქ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საპაერო თავდაცვის ჯარებს საზეიმო ვითარებაში გადაეცა პირველი ხარისხის ხო შინის ორდენი. ეს მაღალი ჯილდო საპაერო თავდაცვის ჯარების მებრძოლებს მიენიჭათ ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობის ომის დროს გამოჩენილი გმირობისათვის. სამშობლოს ცის დამცველებმა 2.700-ზე მეტი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ჩან ვან ჩამ აღნიშნა სამშობლოს დამცველთა უთავალსაჩინოესი საბრძოლო წარმატებანი, ხაზი გაუსვა საპაერო თავდაცვის ჯარების მნიშვნელობასა და მაღალ პასუხისმგებლობას ახლანდელ ეტაპზე. საპაერო თავდაცვის ჯარების ოფიცრებსა და მებრძოლებს, თქვა მან, კარგად აქვთ შეგნებული ჩინელი აგრესორების რეაქციული არსი. მათ ნიადაგ უნდა აიმაღლონ სიფხიზლე, შუდამ მზად იყვნენ მტრის ხრიკების ჩასაშლელად.

ვიენტიანი, 9 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურისა და ინფორმაციის მინისტრის ნგუენ ვან ჰიეუსადმი წერილში ლაოსის პროპაგანდის, ინფორმაციის, კულტურისა და ტურიზმის მინისტრმა სისანმა გადაჭრით დაგმო ჩინელი აგრესორები იმის გამო, რომ მათ ბარბაროსულად დაანგრიეს და წაბილწეს ვიეტნამის კულტურისა და ისტორიის მრავალი ძეგლი, მათ შორის ისტორიული რელიკვია — სოფელ პაკბოს მიდამოები, სადაც ვიეტნამის რევოლუციის პირველ დღეებში ცხოვრობდა პრეზიდენტი ხო ში მინი.

მიუხედავად იმისა, რომ მარცხი იგემა ჩინეთის აგრესიამ ვიეტნამის წინააღმდეგ, გუუქარწყლდა დიდმპყრობელური ამბიციები კამპუჩიაში და ძირგამომთხრელი მანევრები ლაოსში, ნათქვამია წერილში, პეკინელ ხელმძღვანელებს ხელი არ აუღიათ ლაოსის, ვიეტნამისა და კამპუჩიის ანექსიის ცდებზე, რათა თავიანთ დიდმპყრობელურ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ატარებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

სადათის კაპიტულაციის კვალდაკვალ

ნიუ-იორკი, 9 მაისი. (საკდესი). ისრაელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არარად აგდებს მსოფლიო გაერთიანებას, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმისადმი წერილში დაადასტურა თავისი განზრახვა, რომ არ აპირებს შეასრულოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ჭეშმარიტი მოწესრიგების ძირითადი პირობები. ისრაელი, ცინიკურად აცნადებენ ამ წერილის ავტორები, „არამც და არამც არ დაანებებს პალესტინას თავისი სახელმწიფო შექმნას მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში“. და ამ საკითხის განხილვაც კი არ სურს. რაც შეეხება იერუსალიმს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობილი რეზოლუციების მიუხედავად, რომლებიც ამ ქალაქის განსაკუთრებულ საერთაშორისო სტატუსს განსაზღვრავენ, იგი, აცხადებს ტელ-ავივი, ისრაელის სახელმწიფოს „სამარადისო და განუყოფელ დედაქალაქად“ დარჩება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, რომ ისრაელის ეს უტიფარი პოზიცია უშუალო შედეგია იმ სეპარატული ხელშეკრულებისა, რომელიც ამა წლის მარტში გააფორმეს სადათმა და ბეგინმა. ახლა, როცა კაიროს კაპიტულაციას მიაღწია, ისრაელს გაზრახული აქვს კვლავ უკარნახოს თავისი პირობები და არ გადაუხვიოს იმ მკაცრ კურსს, რომელიც შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობით შეიმუშავა.

ვაშინგტონის მიერ ისრაელისა და მისი პარტნიორის პოლიტიკის მოწონების მორიგი დემონსტრაცია უნდა გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ს. ვენსის ჩასვლა ტელ-ავივსა და კაიროში, რაც მაისის დამლევს არის დაგეგმილი.

სადათი ბაღჩისარაიში

ბაღჩისარაი, 9 მაისი. (საკდესი). ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი ჩავიდა ბაღჩისარაიში, სადაც ხანგრძლივ ბაზრობას ესწრებოდა. ბაზრობა ეძღვნებოდა ეგვიპტეში ბინის ნაგებობის ინდუსტრიის ფილიალის გახსნას. ბაზრობაზე ეგვიპტელ ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-ტექნიკოს

გამარჯვების დღის ზეიმი თბილისში

უკვდავების დღესასწაული

(დასასრული)

ქალაქ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები, ყველანი მიმართებიან დიდი ბელადის ძეგლის გვირგვინებით შესამკობად. გვირგვინების ლენტებზე წარწერილია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან“, „თბილისის მშრომელებისაგან“. სპატიო ყარაულმა მწყობრი ნაბიჯით ჩაუარა ძეგლს. მომღერალთა გუნდი დიდი ბელადის სადიდებელ სიმღერებს მღერის. იწყება ბავშვთა სასულე ორკესტრისა და პიონერიული რაზმების საზეიმო აღლუმი, ამირკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის ჯარების სამწყობრო სიმღერების დათვალიერება-კონკურსი, საზეიმო პროცესია რუსთაველის პროსპექტის ჭადრების ხეივანს მიჰყვება.

ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ სახელდახელო სცენაზე პროცესიის მონაწილეებს ქართული სიმღერებით, სამამულო ომისდროინდელი მელოდიებით, ჩვენი თანამედროვე კომპოზიტორების ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებით ხვდებიან.

მცირე მიწა — ძლევამოსილი წითელი არმიის გმირობის თვალსაჩინო ეპიზოდი — საბჭოთა ადამიანებისათვის კიდევ უფრო ახლობელი და სამახსოვრო გახდა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნის შემდეგ. მან მთელი მსოფლიოს საზოგადოებას (ოოჯხალ ფერებში დაანახა ის მიზეზები, რომლებმაც გერმანელ ოკუპანტებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვება განაპირობა.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ამირკავკასიის წითელდროშოვანი საოლქო და სასაზღვრო ჯარების მებრძოლთათვის გაიმართა საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის ახალი წარმოდგენა — „მცირე მიწა“, რომელიც დადგმულია ლ. ი. ბრეჟნევის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. სპექტაკლი ამაღლებული და დასამახსოვრებელი იყო როგორც მაყურებლისათვის, ასევე შემსრულებლებისთვისაც.

მარადიული ციცხელი გიზგიზებს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. საპატიო ყარაულში დგანან პიონერები — მომავალი კომკავშირელები, კომუნისტები, უპარტიოები, რომლებისთვისაც მამათა მიერ მათი ბედნიერების, თავისუფლებისა და სიცოცხლისათვის დაღვრილი სისხლი წმინდა საფიცარი გამხდარა.

ზღვა ხალხმა მოიყარა თავი გამარჯვების სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. ორდენსანი მკერდი ფართოდ გაუშლიათ მათ, ვინც ყველაზე უკეთ იცის ორდენის ფასი, — სამამულო ომის მონაწილეებს, ყოფილ ჯარისკაცებს, ზემდეგებსა და ოფიცრებს.

ბვირგვინებით ამკობენ უცნობი ჯარისკაცის საფლავს ჩვენი პარტიის, მთავრობის, საზოგადოების წარმომადგენლები. საფლავის ქვა ყვავილებშია ჩაფლული. გაისმის სალუტის ხმა. ჯარის ნაწილებმა საპარადო მარშით ჩაიარეს. უკრავს სასულე ორკესტრი. საერთო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ზეიმი — „სამარადისო დიდება გმირებს“.

დამპაყრობთა ფეხქვეშ მიწა იწვოდა, პარტიზანული რაზმები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ ფაშისტებს — შლიდნენ მათი შეტევის მომზადებასა და ვადებს, ეწლიტდნენ მტრებს, ანადგურებდნენ სამხედრო ტექნიკას, სტრატეგიული მნიშვნელობის საყრდენ პუნქტებს, სამხედრო ნაგებობებს...

პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში თავი მოუყრიათ ვეტერან პარტიზანებს. ისინი გვირგვინით ამკობენ სამამულო ომში დაღუპულ პარტიზანთა მემორიალურ დაფას. XVI-ე ტრადიციული პარტიზანული კოკონის მონაწილეები წუთიერი დუმილით პატივს სცემენ შინმოუსვლელ თანამებრძოლთა ხსოვნას.

გაიმართა მიტინგი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ყოფილ პარტიზანები და მოსწავლე ახალგაზრდები. ისინი პირობას დებენ, რომ მამათა მაგალითი მათთვის შრომასა და სწავლაში ახალ წარმატებათა საწინდარი გახდება. შემდეგ ერთ რიგად დაწყობილ ვეტერან პარტიზანთა წინაშე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები აღიმართა. გიზგიზებს პარტიზანული კოკონი. ვეტერანი პარტიზანებისა და სხვა იქ შეკრებილთათვის კონცერტი გაიმართა.

მეგობროობის მუზეუმში ახალგაზრდები დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეხვდნენ. მათთან ერთად დათვალიერეს მეგობრობის მუზეუმის დარბაზები. დამსწრეებში სუსხიანი წლების განცდას იწვევს ომის გამოცხადების შესახებ საბჭოთა ინფორმბიუროს ცნობის მოსმენა. ვეტერანებს ომის სურათები წარმოუდგათ თვალწინ — ჯარისკაცთა ეშელონები, ჩვენი სამშობლოს უკიდეგანო სივრცეები, გაუთიბავი მინდვრები, მოუმკელი ყანები, ომის წინა ხაზი — მრისხანე და სასტიკი მტერი, „არც ერთი ნაბიჯი უკან, უკან დედასამშობლოა!“, ბუნების ჭირვეულობა, თანამეზანგრის სიკვდილი, და ბოლოს მეწამული ალამი რაიხსტაგის თავზე...

დამსწრეები გულისყურით ათვალიერებენ ფოტოსტენდებს — „მოსკოვის დაცვა“, „ლენინგრადის ბლოკადა“, „ბრძოლები სტალინგრადთან“, „კავკასიის მისადგომებთან“, „ყირიმისა და ნოვოროსიისკის განთავისუფლება“, „უკრაინის განთავისუფლება“, „ბერლინის აღება“. ვეტერანები ახალგაზრდებს საბრძოლო ეპიზოდებს უამბობენ.

დამთვალიერებელნი მოწიწებით შედიან დიდათა ოთახში. აქ სამგლოვიარო ფოტოპორტრეტებია იმ დედებისა, რომლებმაც სამშობლოს გმირი შვილები აღუზრდეს და ვერ მოესწრნენ მათს დაბრუნებას. „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“ — წარწერილია დედათა ჩაუქრობელი ცვრის თავზე.

შემდეგ სამამულო ომის ვეტერანებმა საზეიმო ვითარებაში გადასცეს ახალგაზრდებს კომკავშირის ბილეთები და უსურვეს ღირსეულად გააგრძელონ სამამულო ომისდროინდელ კომკავშირელთა სახელოვანი ტრადიციები.

საღამოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თვითმოქმედი კოლექტივები — გოგონების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ბიჭები“, კამერული და სასულე ორკესტრები, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი „მირანგულა“, თანამედროვე ცეკვის ანსამბლი, საბალეტო ჯგუფები, ოქტომბრელთა გუნდები.

ზეთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა სახალხო სეირნობა კულტურისა და დასვენების პარკებში, სპორტის სასახლეში და სტადიონებზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები და სამხედრო-პატრიოტული თამაშობანი. თბილისის კინოთეატრებში. ნაჩვენები იყო გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი კინოფილმები.

გვიან საღამოს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ზეცა გაციცქროვნა გამარჯვების აღსანიშნავმა სალუტმა.

ზ. ღავთაძე.

გამარჯვების დღის ზეიმი თბილისში. **სურათებზე: თბილისელები მიესალმებიან საასულე ორკესტრებს რუსთაველის პროსპექტზე; უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.**

ვლ. გინზბურგის ფოტო.

სპარტაკიადიდან—ოლიმპიადამდე

ფარიკაობა

ფარიკაობა ჩვენში ჯერ კიდევ სპორტის იმ სახეობათა ჯგუფშია, რომლებსაც მასობრივობის მტკიცებაზა არა აქვს. ფარიკაობამ დღემდე ვერ მოიკიდა ფეხი აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ნაკრები გუნდი მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სპორტსმენებით დაკომპლექტდა.

უფრო მწვრთნელებს ტ. მესხს (ხმალი), ლ. ქოჩიაშვილს (დაშნა), შ. დარასელიას (რაპირა, ეაეები), ს. აჯიმამუდოვს (რაპირა, ქალები) მხარში უდგას კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფი. კონსულტანტებადაც გამოცდილი სპეციალისტები — ა. მეიფარიანი და გ. ლორთქიფანიძე არიან მიწვეულნი. ნაკრები გუნდის მზადებაში მთავარი ამოცანაა დატვირთვის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც მიახლოებული იქნება სპორტაკიადის მოთხოვნებთან. ამგვარი „მოდელი“ კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს. პროგნოზი ასეთია: ხმლით ფარიკაობაში გუნდს დაგეგმილი აქვს V ადგილი (34 ქულა), დაშნით ფარიკაობაში —VIII (18 ქულა), რაპირაში (ქალები) — VI, რაპირისტ ვაჟებში კი VII. რაპირისტებმა 26-28 ქულა უნდა მოაგროვონ. საერთო-გუნდურ ჩათვლაში 108 ქულამ, როგორც ვარაუდობენ, ნაკრებს VI ადგილი უნდა მოუტანოს. ექვსეულში ადგილის დამკვიდრების იმედს მწვრთნელებს ქულების ის ავანსიც აძლევს, რომელიც ახალგაზრდობის II საკავშირო სპარტაკიადაზე და მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაში მოიპოვეს ჩვენმა მუშაკტერებმა. მაგრამ უთუოდ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ პროგნოზიდან რეალობამდე გზა არც ისე მოკლე და იოლია.

სპარტაკიადის ფინალამდე დარჩენილ დროში მოფარიკავეებს ბევრ პასუხსაგებ ასპარეზობაში მოუწევთ გამოსვლა. ცხადია, მერე და მერე უფრო გამოიკვეთება რეალური კონტურები. ამ თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, საინტერესოა სპარტაკიადისათვის მოსამზადებელ ეტაპზე ქართველ მოფარიკავეთა გამოსვლის შედეგები. ამგვარი შეჯიბრებები უკვე გაიმართა აპრილში. კიევმა, მაგალითად, უმასპინძლა რაპირისტ ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც სიძლიერით მსოფლიო პირველობასაც არ ჩამოუვარდებოდა (შეჯიბრებაში მონაწილეობდა 20 გუნდი, აქედან 8 საზღვარგარეთისა იყო). გ. აბაშიძემ ამ ასპარეზობაში მე-12 ადგილი დაიკავა, გ. მეშველიანი 24-ე იყო, ი. დავითაშვილი — 54-ე, ვ. აფციაური — 61-ე, ვ. გოქაძე — 67-ე, გ. ელაშვილი— 103-ე, მ. გუგუშვილი — 104-ე. მწვრთნელების აზრით ასეთი დიდი რანგის ასპარეზობაში, რომელშიც 144 უძლიერესი მუშაკტერი მონაწილეობდა, ეს შედეგები ურიგო არ არის. გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა პირველივე შეხვედრა წააგო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუშაკტერებთან. გერმანელები ფინალში მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრებთან დამარცხდნენ და II ადგილს დასჯერდნენ. ჩვენებმა ყაზახეთის ნაკრებს მოუგეს — 9:3. ფრედ დამთავრდა შეხვედრები ბელორუსიისა და ყირგიზეთის წარმომადგენლებთან. გამარჯვება კი ჩხვლეტების უკეთესი შეფარდებით მეტოქეებს დარჩათ. საქართველოს გუნდს (საზღვარგარეთის კოლექტივებს თუ არ ჩავთვლით) კიევში VI ადგილი ხვდა წილად. ამ ტურნირის შემდეგ თითქმის საბოლოოდ დადგინდა ნაკრების შემადგენლობა. დაიწყო ტექნიკურ, ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებაში ჩამორჩენის ლიკვიდაცია. მწვრთნელები ფიქრობენ, რომ გუნდს უეჭველად მიიყვანენ საუსრველ მზადყოფნამდე.

ასეთივე ტურნირი ჩატარდა მინსკშიც რაპირისტი ქალებისათვის. პირად და გუნდურ შეჯიბრებაში შემადგენლობა იგივე იყო, რაც კიევში. აქ დ. ბუხრაშვილმა დაიკავა 58-ე ადგილი, ი. ჯანაშიამ — 63-ე, მ. გეჯაძემ — 67-ე, თ. გერასიმოვიჩმა — 124-ე, ლ. ბერაძემ — 132-ე. გუნდურ პირველობაში წარმატებლობას მწვრთნელები იმით ხსნიან, რომ წელს ძალზე ცოტა იყო გუნდური შეჯიბრებები.

უფრო ადრე დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ტალინში. უკეთესი შედეგი ჩვენი სპორტსმენებიდან ჰქონდა დ. დავითაშვილს — 55-ე ადგილი. რამდენიმე სპორტსმენი, მათ შორის დავითაშვილი, დიდი ხანი არ არის, რაც ავადმყოფობის შემდეგ დაბრუნდა ნაკრებში. ვარაუდობენ, რომ იგი მალე აღიდგენს საბრძოლო სპორტულ ფორმას.

უნდა ითქვას ისიც, რომ სპორტსმენ ვაეთა და ქალთა ფიზიკური მომზადება (გამოკვლევა სპეციალური მეთოდითაა ჩატარებული) დამაკმაყოფილებელი არ არის. სპეციალისტების აზრით, სპარტაკიადის ფინალამდე დარჩენილ დროში რამდენიმე მეცხრაკლი უნდა დაეთმოს სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ დატვირთვას, ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ვარჯიშის ინტენსიურობა.

თ. გაჩეჩილაძე.

პროგნოზი არის, რეალობა?..

არქივარიუსის ჩანაწერები

საქართველოს მოფარიკავეთა შედეგები

III სპარტაკიადა (1963 წელი). იური ოსიპოვი (რაპირა) — ადგილი, რაპირა (ქალები) — გუნდური III ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). ნუგზარ ასათიანი (ხმალი), გურამ კოსტავა (დაშნა) — III ადგილები.

სპარტაკიადებში საქართველოს მოფარიკავეთა მიერ მოპოვებული გუნდური ადგილები: 1956 წელს — V, 1959 — IV, 1963 — V, 1967 — V, 1971 — V, 1975 — VI.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). გურამ კოსტავა (დაშნა) — III ადგილი გუნდურ ასპარეზობაში.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). ნუგზარ ასათიანი (ხმალი) — I ადგილი გუნდურ ასპარეზობაში, გურამ კოსტავა (დაშნა) — III ადგილი პირად ასპარეზობაში.

მუდმივი გინადარი

ფარიკაობა ყველა ოლიმპიადის პროგრამაში იყო შეტანილი. პირველ ოთხ ოლიმპიადაში სპორტსმენები პირად პირველობაში ცდიდნენ ძალებს, ხოლო 1912 წლიდან გუნდური შეჯიბრებაც იმართება. 1924 წლიდან ოლიმპიადებში მოფარიკავე ქალებიც ასპარეზობენ. ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფიე) დაარსდა 1913 წელს.

გვირის ხსოვნას მიეძღვნა

საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის საჩოგბურთო კორტებზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლეკაევის ტრადიციული შემორიალი ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების ჩოგბურთელები.

ფინალური შეხვედრები გამარჯვების დღეს — 9 მაისს გაიმართა. თბილისელმა ა. ივანოვამ დაამარცხა თანაქალაქელი ნ. თუხარელი (2:6, 6:3, 6:3). ვაეთა შორის კი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისელი გ. ელერდაშვილი და ლვოველი ს. გრუზმანი. ქართველმა ჩოგბურთელმა კარგ სტილში დაამარცხა მეტოქე (6:3, 6:1). ქალთა წყვილებში პირველები იყვნენ ნ. თუხარელი და ა. ივანოვა, ვაეთა შორის კი ნ. ელერდაშვილი და გ. ზამბახიძე. მერეულ წყვილთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს მარინე ელერდაშვილმა და ვ. ბაკშიმ.

ზ. ქაცარავა.

მერვე ტური

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის შვიდი მატჩი. შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ — 0:0, „ჩერნომორეცი“-„დინამო“ (მინსკი) — 0:1, ასკ (დონის როსტოვი)-„ზარია“ — 2:2, „ზენიტი“-„ფახთაქორი“ — 2:1, ცსკა-„ტორპედო“ — 1:2, „შახტიორი“-„ყარაგანდი“ — 1:0, „დინამო“ (კიევი)-„არარატი“ — 2:1.

დღეს მერვე ტურის ბოლო ორი შეხვედრა გაიმართება: „ლოკომოტივი“-„ნეფთი“, „კრილია სოვეტოვი“-„დინამო“ (თბილისი).

თბილისის „დინამო“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ საკავშირო ჩემპიონატებში 48-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან თბილისელებმა მოიგეს 26, ფრედ დამთავრეს 11 და წააგეს 6 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 78:36 დინამოელთა სასარგებლოდ.

სატურნირო ორბიტაზე

კალათბურთი. კიევში გაიმართა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული მატჩი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა კალათბურთელებმა აღმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 91:77 (43:38). გუშინ საბჭოთა სპორტსმენებმა არგენტინელები დაამარცხეს — 105:59.

ველოსიპედი. 9 მაისს პრაღაში სტარტი მიეცა მშვიდობის ველოსიპედს. პროლოგი — 6-კილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრება საზეიმოდ მორთულ პრაღის ქუჩებში მოეწყო. გაიმარჯვა პოლონელმა იან იანკევიჩმა (6 წუთი და 43 წამი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მინალ კლასა (ჩეხოსლოვაკია) და ალო პიკუუსი (სსრ კავშირი). გუნდური პირველობა პოლონელებმა მოიპოვეს. შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდები.

კრივი. კელნში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი. მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობენ სსრ კავშირის 11 სპორტსმენი, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ასევე ფედერაციული რესპუბლიკის 9-9, ბულგარეთისა და იუგოსლავიის 7-7 მოკრივე.

დაბადებულობათა ბნელდაკვალ

მოძრაობა ეროვნული ენერგიით გაჩერდა...

ზაურ ვიქტორის ძე დუნდუას სამტრედიის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციაში კარგად იცნობდნენ, როგორც სხვისი ავტომობილებით ნავარდის ტრფიალს. პირველად ზაურ დუნდუას 1974 წლის 8 მარტს წაასწრეს, როდესაც მთვრალი მართავდა ავტომობილს, მეორედ კი იმავე წლის 18 აგვისტოს და მისი საქმე საგამომძიებლო ორგანოებს გადასცეს.

ბევრი იფიქრა ზაურ დუნდუამ და დაასკვნა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, და სამტრედიიდან აბაშის რაიონის სოფელ მარაწში გადასახლდა და სოფელ მარნის შრომის სახელობის კოლმეურნეობაში მეთოდისტად მოეწყო. მაგრამ დუნდუამ სხვისი ავტომობილებით ნავარდი არ დაიშალა.

25 აპრილს შუაღამისას ზაურ დუნდუამ კოლმეურნეობის ავტოგარაჟიდან უნებართვოდ გამოიყვანა სატვირთო ავტომობილი და პირად საქმეზე სოფელ მარნიდან სამტრედიისაკენ გაემართა. ღამის 3 საათზე ზ. დუნდუამ დიდი სიჩქარით მიმავალი სატვირთო ავტომობილი რკინიგზის დისტანციის სასიგნალო კაშრგამშულობის ბოძებს დაეჯახა და დალეწა სასიგნალო მოწყობილობა, რომლის ღირებულება ორი ათასი მანეთია. დაიმსხვრა კოლმეურნეობის ავტომობილიც.

სასიგნალო მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის გამო სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზზე მატარებლების მოძრაობა 4 საათით შეჩერდა.

ზ. დუნდუას ბევრი არ უფიქრია და შემოხვევის ადგილიდან უშიშო-უკვლოდ გაქრა. იგი მხოლოდ 28 აპრილს გამოცხადდა შინაგან საქმეთა განყოფილებაში. ზაურ დუნდუას კი ჰქონდა საქმე დასამალად, მაგრამ გამოსაჩენი პირი არც სოფელ მარნის შრომის სახელობის კოლმეურნეობის თამამდამარეს უმანგი მელაძეს, უბნის უფროსს კარლო გრიგოლიას და ავტომანქანის მძღოლ იური კუპუხიძეს უნდა ჰქონდეთ, რომელთა დაუდევრობამ, ავტომანქანის მოვლა-პატრონობისადმი კონტროლის შესუსტებამ აღნიშნული შემოხვევა გამოიწვია, რასაც დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა.

„კომუნისტის“ საგუშაგო.

ძ. ვ. ჩაჩავას დამძიმებულ კომეწიროსებს

საზოგადოება პანაშვიდი გაიმართება 10 და 11 მაისს საღამოს 7 საათზე განსვენებულს ბინაში — ჭავჭავაძის პროსპექტი, № 24.

გამოსვლება — 12 მაისს 4 საათზე ბინიდან.

დაკრძალვა მოხდება დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

11 მაისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — აბიგურიენგბათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შვეიცარელთა ფრანგული ენა, 17.35 — ფულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — სამოქალაქო თავდაცვა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, 18.10 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საფეხელი“. გამეორებით (ფ.), 18.35 — ბავშვის საერთაშორისო წელი — „ფეიუგატი და ცხოვრება“, 19.15 — დოკუმენტური ფილმები — „ულინი“ და „არქიგიენქეორი“. (ქართული ენაზე). ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — მხატვრული ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამით

16.00 — დოკუმენტური ფილმი „იავნე სერგის ძე კოზლოვსკი“, 17.05 — მერვეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.50 — განცხადებები (ფ.), 17.55 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია (ფ.), 18.40 — მხატვრული ფილმი „გზაბანეული“.

თეატრი

11 მაისი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მეფეა (მე-14 აბონ. მესამე წარმ.); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პეპო; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ციხედვიდები; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — საოჯახო ბიზნესი; მეგობრის თეატრი — სამგზავრები ოპერა; რუსთაველის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — პორნოგრაფია; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — წამებები დედოფლისა.

ინფორმაცია—79

ჩვენს არემარეში

სოფლის მშრომელთა სამსახურში

თელავი. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). თელავის რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი ნაფარეული კიდევ უფრო დაამშვენა კავშირგაბმულობის განყოფილების ახალმა შენობამ.

ტიპობრივი პროექტით ნაგები ეს ლამაზი სახლი ნაფარეულელებს აუშენა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, სამშენებლო სამუშაოები შეასრულა ამავე სამინისტროს სპეციალიზებულმა სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ (უფროსი—გ. ამაღლობელი). შენობაში ახლა სწრაფი ტემპით ამონტაჟებენ 200-ნომრიან სატელეფონო სადგურს და ახალ რადიოგამაძლიერებელს.

კავშირგაბმულობის განყოფილების ახალი შენობა მიმღებმა კომისიამ „ფრიადზე“ შეაფასა.

მთავარ როლებში — პატარები

ზესტაფონი. (საკ. კორ. ო. ნიჟარაძე). მეტალურგთა კლუბთან არსებულ სახალხო კინოსტუდიას ფართო შემოქმედებითი მუშაობა აქვს გაშლილი. თვითმოქმედი კინომოყვარულის რ. ღავთაძის რეჟისორობით და ოპერატორობით აქ შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი ფილმები „მდნობელთა სამი თაობა“, „გაფაფტული მარგალიტები“, „ჩვენი თანამედროვე“, „მომავალი მეტალურგები“ და სხვა.

ბავშვთა საერთაშორისო წელს ეძღვნება ახალი ფილმი „შემანქანე“, რომლის გადაღება სახალხო სტუდიაში მიმდინარეობს. ფილმის მთავარი მოქმედი პირები პატარები იქნებიან.

მეცნიერება ემსახურება ადამიანს

კოსმოსიდან უკეთ ჩანს დედამიწა

იმაზე, თუ როგორ ემსახურებიან დღეს სოფლის მეურნეობას დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტის თხოვნით გვესაუბრება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრია პეტრეს ძე ყაპიცა:

— სსრ კავშირის მიწის კანონმდებლობის საფუძვლები სახავს ქვეყნის მიწის რესურსების ღრმა შესწავლის, მათი მაღალეფექტიანი გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციის ამოცანას. ამ ამოცანათა გადასაწყვეტად საჭიროა მრავალასპექტიანი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მივიღოთ კოსმოსურ ფოტოგადაღებათა მასალების შესწავლისას. მაგალითად, კოსმოსურ ფოტოგადაღებათა გამოყენებით შემუშავდა მანგიშლაყის ნახევარკუნძულის მიწათსარგებლობისა და ბუნების დაცვის სქემა. თუმცა, შესწავლილი ტერიტორიის ფარგლებში აქ 2000 კვადრატული კილომეტრი საერთო ფართობის ნაკვეთები ყოფილა, რომლებიც პერსპექტიულია მცირე სიღრმის ჰორიზონტებიდან მტკნარი გრუნტის წყლების მისაღებად. მტკნარი წყლის საექსპლოატაციო მარაგი დაახლოებით 3500-4000 მილიონი კუბური მეტრია.

როგორც ვიცით, აღმოსავლეთ პაკისტანის რაიონებში მიწათსარგებლობის გავრცელებული სახეობაა სამომთაბარო მესაქონლეობის საძოვრები. ამ რაიონების საძოვრები ნაკლებპროდუქტიულია, ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ნიადაგ-მცენარეული საფარის დაოლვევა კი კიდევ უფრო ამცირებს მათს მნიშვნელობას. კოსმოსური ფოტოგადაღების საფუძველზე შედგენილი სქემით, მაგალითად, შესაძლებელი გახდა საძოვრების დაცვისა და აღდგენის ღონისძიებათა რიგითობისა და შინაარსის განსაზღვრა.

კოსმოსურ ფოტოსურათებზე ჩანს შუა აზიის რესპუბლიკების დიდი წყალსაცავების რაიონებში გრუნტის წყლების რეჟიმის დარღვევის გამო ნიადაგის მეორეული დამლაშების გამოვლინებები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მიწების დაცვის რეკომენდაციათა შემუშავებისათვის.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში სახნავი მიწების დაახლოებით 17 პროცენტი ქარისმიერ და წყალისმიერ ეროზიას განიცდის, რაც ამცირებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. კოსმოსური ფოტოგადაღებები საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ეროზიული პროცესები, მათი ხასიათი და დინამიკა. ასეთი ინფორმაცია გვეხმარება მიზანდასახულად განვახორციელოთ ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი, რაციონალურად გავანაწილოთ მათი რეალიზაციისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებანი.

დედამიწის ზედაპირის დაკვირვებისათვის გათვალისწინებული კოსმოსური აპარატები მფრინავ ლაბორატორიებია, რომლებიც აღჭურვილია ფოტოგრაფიული და სატელევიზიო სისტემებით, რადიო — და ლაზერული ლოკატორებით. მათი საშუალებით ფიქსირდება დედამიწის ზედაპირის საკუთარი და არეკლილი გამოსხივების ინტენსიურობა სპექტრის ხილულ და ინფრაწითელ არეებში, აგრეთვე რადიოდიაპაზონით. კომპლექსში ეს საშუალებანი გვეხმარება „დავინახოთ“ უყოლფერი, რასაც ადამიანის თვალი ამჩნევს, აგრეთვე ბევრი რამ, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება. მაგალითად, ინფრაწითელი დიაპაზონით მიღებულ ფოტოსურათებზე მკვეთრად მოჩანს დაავადებულ და სასოფლო-სამეურნეო მავნებლების მიერ დაზიანებულ მცენარეთა კერები. განვითარების გარკვეულ სტადიაზე მკვეთრად გამოირჩევა ნორმალური და გვალვის შედეგად დაზიანებული ნათესები. კოსმოსიდან დედამიწის ზედაპირის რადიოდიაპაზონით დაკვირვება შეიძლება ნებისმიერ ამინდში, დღისითაც და ღამითაც, საშუალებას გვაძლევს, კერძოდ, მივიღოთ ამომწურავი მონაცემები ნიადაგის ტენიანობის შესახებ. და ეს მხოლოდ ზოგიერთი საკითხია, რომლებზეც პასუხის გაცემა შეუძლია თანამედროვე თანამგზავრს.

კოსმოსიდან დედამიწის ზედაპირის შესახებ ინფორმაციის მიღების არსებული საშუალებებიდან ყველაზე ფართოდ ცნობილია მკფ-6 ფოტოკამერა, რომელიც შექმნეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებმა. იგი საშუალებას გვაძლევს კოსმოსიდან მივიღოთ დედამიწის გამოსახულება სპექტრის ექვსი დიაპაზონით. მაგრამ ფოტოკამერა მომხმარებელს ინფორმაციას აწვდის ჩვეულებრივ გადაღებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ და ამიტომ შეუძლებელია მისი გამოყენება ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად.

ოპერატიული ინფორმაციის მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ ეგრეთ წოდებული სკანერები, რომლებიც დედამიწაზე გამოსახულებას გადმოსცემს სპექტრის ოთხ არეში, თანაც საშუალებას იძლევა გავარჩიოთ 200-250 მეტრი წრფივი ზომის დეტალები. ასეთი თანამგზავრი გვეხმარება კარგად დავინახოთ ყინულოვანი საფარის მდგომარეობა, თოვლის საზღვრები, მეგაფასოთ დიდი და საშუალო მდინარეების ადიდების ინტენსიურობა, გამოვკვეთოთ დატბორილი ტერიტორიების ფართობი. კოსმოსიდან მიღებულ გამოსახულებებზე კარგად ჩანს ხანძრის კერები, ტყეების ოდენობა. ეს საშუალებას აძლევს სატყეო მეურნეობის სამსახურებს ოპერატიულად განაზორციელონ საჭირო ღონისძიებანი.

სასოფლო-სამეურნეო წლის სხვადასხვა პერიოდში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი მონაცემების მიღება. შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე ეწყობა სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ინ